

პეტრინის ფილოსოფია და ქართული მრავალხმიანობა

ვარაუდი იმის შესახებ, რომ მრავალხმიანობა საქართველოში ქრისტიანობამდელი კულტურის მონაპოვარია, რეალური საფუძვლის მქონეა და მაინც სათანადო არგუმენტების გარეშე იგი მხოლოდ ვარაუდად, რწმენის სფეროდ რჩება. მაღალი შეფასება, რომელიც ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას დღევანდელმა ცივილიზაციამ წილად არგუნა, გვავალებს ვიყოთ ძალზე ფრთხილნი, თავმდაბალნი და კრიტიკულნი შეფასებისას და მისი ისტორიის კვლევის დროს ვენდოთ მხოლოდ ისეთ დოკუმენტებს, რომელთა რანგი და ღირებულება – თავად საკვლევი ობიექტის ქართული მრავალხმიანობის რანგისა და ღირებულების ტოლფასი იქნება. ამგვარი რანგის დოკუმენტს წარმოადგენს მე-11 საუკუნის ქართული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლის – იოანე პეტრინის თხზულება „განმარტებაი პროკლესათუის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათუის“.¹ ამ თხზულების დასკვნით ნაწილში უმნიშვნელოვანეს საღვთისმეტყველო დოგმაზე წმინდა სამებაზე მსჯელობისას ფილოსოფოსი არგუმენტად მიმართავს სამის ერთების განხორციელების ნიმუშს მუსიკის სფეროდან. სახელდება სამი განსხვავებული ხმის სახელწოდება, ეს სახელწოდებები ქართულია.

აღნიშნული თხზულება ქართველი ფილოსოფოსის მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოღებული კომენტირებული ნაშრომია. ეს ფაქტი უნებურად ბადებს კითხვებს:

1. რა შეხება უნდა ჰქონოდა იოანე პეტრინის, მითუმეტეს ბერძენი პროკლეს ფილოსოფიას ქართულ მრავალხმიანობასთან;

2. რატომ აქვს ქართული მრავალხმიანობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით ამ თხზულებაში წარმოდგენილ მასალას უტყუარი არგუმენტის ღირებულება;

პასუხი ამ კითხვებზე განსაზღვრავს ჩვენი მოხსენების კონკრეტულ შინაარსს.

მრავალხმიანობის პრობლემატიკიდან გამომდინარე, მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იქნება საკითხებზე:

ა) მრავალხმიანობასთან დაკავშირებული ძველი ქართული მუსიკალური ტერმინოლოგია ი. პეტრინის თხზულებაში.

ბ) მუსიკალური „ჰარმონიის“ შესაბამისი და მისგან არსობრივად განსხვავებული ქართული მუსიკალური ცნება „მორთული“.

გ) წმინდა სამების არსის განსამარტავად მუსიკალური სამხმიანობის მოშველიების ფაქტი „განმარტებაი“-ში, რაც სწორედ აქცევს ამ თხზულებას დოკუმენტად ქართული მრავალხმიანობის ისტორიაში.

რადგანაც თხზულებაში წარმოდგენილი სამუსიკო ინფორმაცია უშუალო კავშირშია მისი ავტორის ფილოსოფიურ მრწამსთან, განსახილველია

თხზულების შექმნის შესაბამისი ეპოქა, იოანე პეტრინის ფილოსოფიური მრწამსი და შემეცნებითი მეთოდი.

იოანე პეტრინი კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიის აღზრდილი, ნეოპლატონური ფილოსოფიის ქართველი მიმდევარია, რომელმაც ბიზანტიაში დაწყებულ ნეოპლატონიკოსთა დევნას თავი სამშობლოში შეაფარა. მის მიერ თარგმნილი წარმართი პროკლეს პლატონური ფილოსოფია ფაქტობრივად მოცემულ თემაზე კომენტატორის საფარველს მოფარებული ქართველი ფილოსოფოსის დამოუკიდებელი ნააზრევია.

ნეოპლატონიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა აღიარებდა „ორგვარ სიბრძნეს“ – წარმართულს და ქრისტიანულს. მან ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის მორიგება სცადა და სწორედ ამდენად იქცა იგი საფუძველდამდებად ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის, რასაც რენესანსი წარმოადგენდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივ-კულტურული აღმავლობის ხანა შუა საუკუნეებში (მხედველობაშია მე-11-13 საუკუნეები) თანამედროვე რენესანსოლოგიაში შეფასებულია როგორც რენესანსის აღმოსავლური სახესხვაობა². საქართველოში ის დაგვირგვინდა შოთა რუსთაველის გენიალური პოემის შექმნით. იოანე პეტრინი, როგორც მე-11 საუკუნის ქართველი ნეოპლატონიკოსი თავის მრავლისდამტევი მსოფლშემეცნებით ქართული რენესანსის მეკვლეა. პეტრინმა მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. მან ისეთ დონეზე აიყვანა ქართული ფილოსოფიური აზრი, რომლისთვისაც მას შემდეგ აღარ მიუღწევია, თუ არ ჩავთვლით მე-20 საუკუნეს (სირაძე, 1987:127). ამგვარი შეფასების შემდეგ უნებურად ჩნდება კითხვა, მაშინ რატომ დარჩნენ იოანე პეტრინი და ნეოპლატონისტური იდეებით გაჯერებული მისი თხზულება შეუმჩნეველი ფილოსოფიის არენაზე?

ამის მიზეზს უნდა ვხედავდეთ ნეოპლატონისტური ფილოსოფიის კრახში მე-11 საუკუნის კონსტანტინეპოლში. იოანე პეტრინს, როგორც ფილოსოფოსს შემოქმედების საშუალება მხოლოდ საქართველოში მიეცა. „განმარტებაი“ ანუ იგივე „პროკლეს კავშირნი“ დაიწერა ქართულად და ბერძნულად არ თარგმნილა. სწორედ ამ ფაქტმა, – „განმარტებაი“-ს მხოლოდ ქართული ვარიანტის არსებობამ და მოგვიანებით მონღოლთა შემოსევით გამოწვეულმა დიდმა სახელმწიფოებრივმა და კულტურულმა კატასტროფამ, რომელიც საუკუნეები გაგრძელდა და მე-18 საუკუნეში რუსული თვითმპყრობელობით დამთავრდა, შეუმჩნეველი დატოვა მე-20 საუკუნემდე, არა მარტო იოანე პეტრინის ფილოსოფია, არამედ საერთოდ ქართული რენესანსული კულტურის ბრწყინვალე შედეგები.

იოანე პეტრინის მსოფლშემეცნების არსი მოკლედ შემდეგშია:

ფილოსოფოსი სცნობს „ხელოვანი ღმერთის“ იდეას, რომლის ანარეკლის მიხედვითაა აწყობილი და ამუსიკალური მთელი სამყარო. ღმერთის შემეცნების ერთადერთ საშუალებად აღიარებულია სახეობრივი შემეცნება – ე.წ. „ხედვაი“ (ი.პეტრინი). ამ თვალსაზრისით ფილოსოფოსის ინტერესი მუსიკალური ხელოვნებისადმი სრულიად განსაკუთრებულია. პეტრინის მრწამსით მუსიკალური ჰარმონია საუკეთესო ამრეკლავია ღვთაებრივი დი-

ალექტიკისა. სწორედ მუსიკას სხვაზე უკეთ ძალუძს „ხედვა“ და განცდა „ერთისა“.

განმარტებანი მოიცავს ფილოსოფოსის ორიგინალური თვალთახედვის დამადასტურებელ მთელ მწყობრს უალრესად საინტერესო მუსიკალური პარალელებისა, რომელთაც პროკლეს ორიგინალში არ ვხვდებით, ისინი პეტრინისეულია. თხზულება აფიქსირებს და ადასტურებს მე-11 საუკუნისთვის ქართული მუსიკალური ტერმინოლოგიის არსებობის ფაქტს. სწორედ ამ ტერმინებს ეფუძნება თხზულების ნებისმიერი მუსიკალური განსჯა. „განმარტება“-ში წარმოდგენილი მუსიკალური ტერმინოლოგია ეროვნული ლექსიკის მემკვიდრეობიდანაა ნაკარნახევი. შინაარსობრივად იგი სწორედ მრავალხმიანობას უკავშირდება და მისივე დამადასტურებელია (ფირცხალავა, 1986:28-29). ვგულისხმობთ თხზულებაში წარმოჩენილ:

1. განსხვავებული რეგისტრების აღმნიშვნელ ხმათა სახელწოდებებს: „მზახრი, ჟირი, ბამი“;

2. ხმათა ერთდროული ჟღერადობის აღმნიშვნელ ცნებებს: „ერთბამი“, „დაბამვა“, „ერთობაი შეყოვლებისაი“, მორთულება („სამუსთა რთვაი“);

3. ქართული საკრავიერი მუსიკის აღმნიშვნელ ტერმინებს: „ძალი“ (სიმი), „მორთული ძალი“, „მწყობრი“, „მემწყობრენი“, „მოშუედ“ (მოშვებულად) და „მსხირპანედ მორთულნი ძალნი“ (მოჭიმულად აწყობილი სიმები);

4. განსაკუთრებით გამოვყოფთ ცნებას „მორთულება“ და მისი ფუძიდან („რთვა“) წარმოებულ სხვა მონათესავე ცნებებს, რომლებიც „ჭარმონიის“ აღმნიშვნელი ქართული ცნებებია. მათ უშუალო გამოყენებას ემყარება თხზულების ნებისმიერი მუსიკალური პარალელი.

— ამრიგად, იოანე პეტრინის ლექსიკაში დაფიქსირდა მეტად ღირებულ მასალა მისი ეპოქის შესაბამისი ეროვნული მუსიკალური ტერმინოლოგიიდან, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მრავალხმიანობას.

ძველი ქართული მუსიკალური ტერმინოლოგია, ცნება „მორთული“.

იოანე პეტრინის მრწამსი მუსიკალურ ხელოვნებაში დიალექტიკის არსზე რომ სხვაობს ბერძნულისას, ამის შესახებ პირველი განაცხადი ქართული მუსიკის მეცნიერებაში გააკეთა მზია იაშვილმა ნაშრომში „ქართული მრავალხმიანობის საკითხი“. იგი წერდა: „ჭარმონიის შესახებ ბერძნულ სწავლებასა და ქართული მრავალხმიანობის არსზე მოძღვრებას შორის სრული თვისებრივი სხვაობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ფილოსოფოსი შეგნებულად გვერდს არ აუვლიდა ტერმინ „ჭარმონიას“ და დაპირისპირებულთა ერთიანობის ცნებას არ გააიგივებდა ეროვნული წარმოშობის ტერმინთან „ერთობაი შეყოვლებისაი“ (იაშვილი, 1975:36, 37).

თხზულების ტექსტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ცნება „ჭარმონია“ უარყოფილია პეტრინის მიერ და მის სანაცვლოდ გამოყენებულია ქართული მხატვრული მუსიკალური სინამდვილიდან გამომავალი ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „ნართი“, „რთვაი“, „რთვანი ძალთა და ხმათანი“, „მორთული“, „მორთულება“, „მრთველი“. სწორედ ამ ცნებების გამოყენებას ემყარება

თხზულების ნებისმიერი სამუსიკო ანალოგია (ფირცხალავა, 1989:110-115).

პეტრინის ლექსიკით სამყარო „მორთულება“ (ჰარმონია), ხოლო ყოველივეს მიზეზი და შემომქმედი უმაღლესი ერთია („ზესთა ერთი“). იგია საყოველთაო წესრიგისა და წყობის რჩეული „კეთილმეხელოვნე“ – უმშვენიერესი „მრთველი“.

ერთი ნარკვევი ვერ დაიტევს ზემოთ მოყვანილი ყველა გამონათქვამის შესაბამისი ფილოსოფიური თეზის განხილვას; შემოვიფარგლებით პეტრინის ერთი მოკლე ფრაზით, რომელიც არა მარტო განმარტავს, არამედ ამასთანავე ასაბუთებს ჩვენს თვალსაზრისს ამ ცნებათა შინაარსის თაობაზე.

„მორთულება შედგმულებაა, მორთულება არს ზიარებაი შედგმულთა... ერთი და იგივე არსს მორთულებაი და შენანევრებაი“ – განმარტავს თავად პეტრინი (პეტრინი, 1914:32).

ქართული ლექსიკით სიტყვა შე-დგმა, შე-დგმული, პირველ რიგში, სიმალლეზე რალაცის მდებარეობას, ვერტიკალში მდგომარეობას აღნიშნავს. პეტრინის შე-დგმულება, რომელიც მისივე თქმით მო-რთულებაა, ანუ რთვია ერთის – მეორეზე შედგმით

ერთის – მეორეზე დართვით მიღებულ მუსიკალურ მთლიანობას გულისხმობს.

პეტრინის ამგვარი განმარტების გათვალისწინებით, და თითოეული თეზის შინაარსიდან გამომდინარე, გამოთქმები „ნართი“, „რთვა“, „მორთულება“ – ზოგად ფილოსოფიური კატეგორიის ჰარმონიის, ჰარმონიულობის სადარი ქართული ცნებებია, რომელთაც პეტრინის ლექსიკაში ორგვარი დატვირთვა აქვთ:

1. ზოგადი ჰარმონიულობის აღმნიშვნელი;
2. და მუსიკასთან მიმართებაში, ბერძნული „ჰარმონიისაგან“ არსობრივად განსხვავებული (ფირცხალავა, 1994:86-102).

მუსიკალური „ჰარმონია“ კეთილხმოვნებაა, „მორთულება“-ც კეთილხმოვნებაა, ოღონდ შედგმული, ზეალმართული კეთილხმოვნება. ეს რომ სიმართლეა, ამას თხზულების „ბოლოსიტყვა“-ში წარმოდგენილი მუსიკალური პარალელი ადასტურებს. მას დაწვრილებით სამების თეზასთან მიმართებაში განვიხილავთ.

როდესაც პეტრინის მთარგმნელობით სტილს ახასიათებენ, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მისი ლექსიკა მძიმეა – იგი დამძიმებულია „ბერძნიზმების შემოტანით“ (კეკელიძე, 1960:252, 256; სირაძე, 1987:127). არისტოტელეობაზე მეოცნებე ქართველი ფილოსოფოსი მართლაც ძალზე ეცადა შეექმნა ბერძნულის მსგავსი მდიდარი საფილოსოფოსო ენა.

მაშინ უნებურად ჩნდება კითხვა: ბერძნიზმებით გატაცებული იოანე პეტრინი მაინცადამაინც მუსიკალურ ცნებებთან მიმართებაში რატომ ღალატობს თავის ჩვეულებას?

რა ნიშნით არ დააკმაყოფილა ქართველი ფილოსოფოსი პოპულარული ფილოსოფიური კატეგორიის ბერძნულმა სახელწოდებამ (ჰარმონია)?

ალბათ, სწორედ იმ ნიშნით, რომ მუსიკალური ჰარმონიის გაგების პეტრინისეულ მოდელს, რომელსაც იგი „მორთულება“-ს ეძახის ბერძნულში

ანალოგი და შესაბამისად შესატყვისი ცნებაც არ გააჩნია.

პეტრინი XI საუკუნის მოაზროვნეა. მის თანამედროვე ფილოსოფიურ ლექსიკაში „ჰარმონია“, ფართო მნიშვნელობით დატვირთული ცნებაა. მუსიკალური თვალსაზრისით იგი ბერძნული მუსიკალური პრაქტიკიდან, ბერძნული მუსიკის კანონზომიერებიდან გამომავალია. „ჰარმონია“- ჰორიზონტალში განხორციელებული მუსიკალური დიალექტიკის, კილოს ბგერათა თანმიმდევრული ურთიერთმიმართების, ჯერ და შემდეგის ზიარების პრინციპზე დაფუძნებულ კეთილხმოვნებას გულისხმობს. პეტრინის „მორთულება“ კი „მზახრი, ჟირი, ბამი“-ის ვერტიკალურად აღმართული შედგმულებაა, რომლის კეთილხმოვნებაც ერთდროული ხმოვანებით მიიღწევა; ამდენად, „ურთიერთდაშორებულნი ხვდებიან ერთმანეთს და სხვადასხვაგვარისაგან უშესანიშნავესი ჰარმონია წარმოსდგება და ყოველივე ბრძოლის გზით მიიღწევა“- ჰერაკლიტე (Í ãñÿí í èêî á, 1968:73);

და

„უსწორობისაგან მორთულებისათა მიეცემის სისწორე კეთილდადასვასა მორთულებისასა“ – პეტრინი (პეტრინი, 1937:217).

ორი სხვადასხვა ეროვნების ფილოსოფოსის მიერ გამოთქმული, განსხვავებული ქვეშარიტების მატარებელი განცხადებებია.

მუსიკალური სამების ერთების შესახებ

„განმარტებაი“-ში დასმულ სხვადასხვა თეოლოგიურ დოგმებს შორის, ქართული მუსიკის ინტერესების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამების – მამა, ძე, სულიწმიდას მოაზრების პრინციპია.

თხზულების გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ არა მარტო სამების, არამედ ნებისმიერი სხვა თეოლოგიური დოგმის მიმართებაშიც საერთოდ სამყაროს ნებისმიერი კანონზომიერების შემეცნების პროცესში ფილოსოფოსი იზიარებს და ასაბუთებს სამების ყოვლისშემძლე, საკრალურ ძალას. ყველგან და ყველაფერში პეტრინი ეძებს და პოულობს სამების პრინციპის გამოვლინებას. მის ფილოსოფიაში გაზიარებულია და კომენტირებული წინარე და მისი თანამედროვე ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ძირითადი ნაფიქრალი. პეტრინი მთლიანად იზიარებს სამების ერთების პითაგორულ გაგებას „რიცხუნის სფეროში“, „სამზომლოში“ (გეომეტრია), „სილოგიზმოში“ (ლოგიკის კანონები). სამების ერთების განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევა იგი მხოლოდ მუსიკის სფეროში. მისი, როგორც ფილოსოფოსის ორიგინალობა სამების თეზასთან მიმართებაში თვალსაჩინოდ სწორედ სამუსიკო ანალოგიებში გამოვლინდება (ფირცხალავა, 1990: 103-106).

პრობლემა სამებისა და ერთარსებისა, ეს საერთოდ უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო საშუალო საუკუნეების თეოლოგიაში. რწმენა საკრალური სამისადმი – როგორც პირველი სიმრავლის, როგორც ერთების უპირველესი გამოხატულებისადმი, უძველესი ცივილიზაციების მეხსიერებიდან მომდინარეობს. მან ღრმა კვალი დააჩნია მთელ ანტიკურ ფილოსოფიას, განსაკუთრებით პითაგორულს, და მოგვიანებით გამოხატულება ჰპოვა უმთავრეს ქრისტიანულ თეზაში – მამა, ძე, სულიწმიდას ერთების მრწამსში. სამის, როგორც

წმიდა საკრალური რიცხვისადმი ქრისტიანული რწმენისა და ფილოსოფიური თვალსაზრისის დამთხვევის ფაქტი, ანუ ქრისტიანულ და წარმართულ სიბრძნეთა თანხვედრა ალაფრთოვანებს ნეოპლატონიკოს პეტრინს, და თუმცა ქრისტიანული კანონიკით თეოლოგიური საიდუმლო განსჯასა და მტკიცებებს არ ექვემდებარება, რამეთუ იგი ოდენ რწმენის სფეროა, პეტრინს ესთეტიკური თვალთახედვა შეაქვს ამ დოგმატურ ცნებაში და მისთვის ჩვეული „ხედვის“ გზით ცდილობს მიუახლოვდეს და ახსნას ეს საიდუმლო.

როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ქრისტიანული სამების თეზა განსჯას არ ექვემდებარება, იგი ოდენ რწმენის სფეროა. ამიტომაც, ქრისტიანი პეტრინი პოულობს გამოსავალს, და იმის მოაზრებისას, თუ როგორ შეიძლება ერთი, ერთი და იმავე დროს, ერთი იყოს და სამი, ანუ სამება იყოს ერთი განუყოფელი რამ, მიმართავს პარალელებს მხატვრული სინამდვილიდან. წმიდა სამების მიმართებაში გამოყენებული სხვა არგუმენტების რიგში, როგორცაა: სამება არითმეტიკაში („რიცხუნი“ – სამი), სამება გეომეტრიაში („სამშობლო“ – სამკუთხედი), სამება ლოგიკაში („სილოგიზმონი“ – თეზა, ანტითეზა, გამოსავალი), სამება საომარ პრაქტიკაში (სამფლანგად განლაგებული ჯარი, როგორც გამარჯვების სანინდარი) და ა.შ – მუსიკალური ანალოგია უკანასკნელია. მისი, როგორც არგუმენტის ხვედრითი წილი, როგორც მდებარეობის, ისე თვალსაჩინოების თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებულია, ეს კარგად ჩანს თავად ფილოსოფოსის განწყობილებიდან. მოვუსმინოთ პეტრინს:

„და ესეცა სამთა მიერ ფრთონგთა ვიტყვი სამთა დაბამვათა, რომელთა მიერ შეინანევრების ყოველი შეყოვლებული მზახრ, ჟირ და ბამ რქმულნი და რანივე მრთველობანი ძალთა და ხმათანი. ამათ სამთა მიერ მემოქმედობენ კეთილფრთოგოვნებათა, რამეთუ უსწორობისაგან მორთულეებისაი მიეცემის სისწორე კეთილ დადასვასა მორთულეებისათა. ვინაი ესთავე რიცხუსა შორის ზესთა წმიდისა სამობისა იხილო... მამისა მამისასა და შობასა ძისასა და გამოვლენასა სულისა წმიდისასა და ერთობასა ბუნებისასა, განსხუაებულობითა გუამოვნებათაითა, ვინაი ან აქა სამუსოდ გასხვაებულთა ზედა იხილო მზახრსა, ჟირსა და ბამსა ერთობაი შეყოვლებისაი“ (პეტრინი, 1940:220)

პეტრინის აღნიშნული ნააზრევი უნდა შეფასდეს, როგორც ფილოსოფიური თეზის რანგში აყვანილი მუსიკალურ-ესთეტიკური დებულება, რომელიც XI საუკუნეში მისი თანამედროვე ეროვნული მუსიკალური ცნობიერების შესახებ გამოთქვა იოანე პეტრინმა.

სამების ძიებით მუსიკის სფეროში პეტრინი ორიგინალობით არ გამოირჩევა. მუსიკალური თეორიის ისტორიამ მუსიკის სფეროში სამების ერთეობის მოძიების არაერთი მცდელობა შემოგვინახა. მოვიგონოთ, პითაგორელთა მიერ წარმოდგენილი **ს ა მ ი** სმ. ფუძის მქონე კუბის ფორმის სრულიად აბსტრაქტული მუსიკალური ტონი (Ἐἰ ἦμά, 1960:137); **ს ა მ ი** ტეტრაქორდისაგან შედგენილი ბერძნული მუსიკალური სისტემა; ძირითადად მიჩნეული **ს ა მ ი** საფეხური ბერძნულ მუსიკალურ სისტემებში (გიპატა, მესა, ნეტა); **ს ა მ ი** ძირითადი ინტერვალი ბერძნულ მუსიკაში (კვარტა, კვინტა, ოქტავა); „საშუალის“ ცნება, როგორც საკრალური **ს ა მ ი ს** (ორი კიდე და ცენტრი)

სახესხვაობა ბერძნულ ფილოსოფიაში (Ἄρθοι αἱ, 1986:55, 87, 93, 129) და ა.შ. ამგვარი სამეულები ფონზე პეტრინის მუსიკალური სამება სრულიად განსხვავებულია. მზახრი, ჟირი, ბამი, როგორც მუსიკალური სამების ერთების პეტრინისეული მოდელი მუსიკის სფეროში საკრალური სამის მოძიების მცდელობა კი არ არის, არამედ რეალური მხატვრული ფაქტია. პეტრინი მკითხველს კარგად ცნობილ იოლად გასაგებ მხატვრულ ენაზე ელაპარაკება. მარტივი ნათელი მაგალითით ცდილობს დაანახოს მას ქრისტიანული სამის ერთების საიდუმლო.

მრავალხმიანობასთან კავშირის თვალსაზრისით, „ბოლოსიტყუის“ მუსიკალურ პარალელში გამოყენებულ ხმის სახელწოდებათაგან განსაკუთრებით საყურადღებო მესამე ხმის სახელწოდება – „ბამია“, და მისი მონათესავე ცნებები: „დაბამვა“, „ერთბამი“. „განმარტებანის“ ლექსიკაში აღნიშნულ ცნებებს საკმაოდ ხშირად ვხვდებით. ყველა შემთხვევაში ისინი ერთდროულობის მნიშვნელობითაა დატვირთული. ამ თვალსაზრისის დამადასტურებელ თვალსაჩინო არგუმენტს ვხვდებით პეტრინის ერთ მსჯელობაში, რომელიც „დასაბამებრივი ერთის“ პრობლემას მიემართება.

წარმოვიდგინოთ პეტრინის მიერ წარმოდგენილი იერარქიულ საფეხურებად განფენილი სამყარო და ამ საფეხურთა ურთიერთმიმართება:

პეტრინის სამყარო „სირაა“- ზეაღმართული იერარქიული კიბეა, რომელზეც განთავსებული არიან: სხეული, ოთხთა კავშირნი, ზეცა, სული, გონი, ნამდვილმყოფი, ერთნი და ერთი. ეს უკანასკნელი, როგორც ყოველივეს შემოქმედი, ხოლო თავად „უქმნი“; თავისთავადი სანყისი, ფლობს ერთ ისეთ განსაკუთრებულ თვისებას, რომლითაც იგი „ემთავრების“, ანუ უპირატესობას გამოავლენს სხვა ქვემორე საფეხურებზე. პეტრინის ღრმა რწმენით „ერთის“ უპირატესობის გამომჩინებელი ეს თვისება **ერთბამობის** უნარია. „უზესთაესი ერთი“ შემოქმედებისას გამორიცხავს ჯერ და შემდეგის, მიზეზ-შედეგის პრინციპს. მას უჟამოდ – დროში დაუსაზღვრავად, ანუ „ერთბამ“ – ერთდროულად მოაქვს მთლიანობა. სირაის სხვა საფეხურთა ყოფა და მოქმედება, მათ შორის ადამიანის შემეცნებაც კი დანაწევრებულია და ეფუძნება ჯერ და შემდეგის პრინციპს (გოგიბერიძე, 1961: 191).

ის კონტექსტი, რომელიც გააჩნია „ერთბამობას“ აღნიშნულ თეზაში, თავისთავად განმარტავს პეტრინის ლექსიკისათვის სახასიათო სხვა **ბამფუძიან** ცნებათა, მათ შორის „დაბამვისა“ და „ბამის“ შინაარსს. პეტრინის მუსიკალური სამება ანტიკური ესთეტიკის ცნობილი მუსიკალური სამეულებისაგან სწორედ **დაბამვის** ნიშნით განირჩევა. „მზახრი ჟირი ბამის დაბამვაში“-ც – ანუ ერთდროულ ჟღერადობაში არ არსებობს ჯერ და შემდეგის პრინციპი. სწორედ ამდენად გამოადგება პეტრინს იგი თავისი ქრისტიანული მრწამსის განსაცხადებლად (ფირცხალავა, 2000:156-161).

„ბამს“ პეტრინის სამხმიანობაში შემკვრელის, გამმთლიანებლის ფუნქცია ეკისრება. რაც შეეხება დანარჩენი ორი ხმის „მზახრისა“ და „ჟირის“ მნიშვნელობას, მათ კომენტარი ფაქტობრივად არ სჭირდებათ. ამ უკანასკნელთა შესახებ ამომწურავ პასუხს იძლევა XVIII საუკუნის ქართველი ლექ-

სიკოგრაფის – სულხან საბა ორბელიანის ნაშრომი „სიტყვის კონა“³, სადაც „მზახრი“ – ზახილის მომქმედი, დამძრახი, – ანუ სიტყვის მთქმელია (სულხან საბა ორბელიანი, 1991:277); ხოლო „ჟირი“ – ხმის რიგითობის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ქართველური ენიდან (მეგრული) გამომავალი ცნებაა.

როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, პეტრინის ფილოსოფიური აზროვნების უმთავრესი მახასიათებელი „ხედვაა“. იგი დიდ პატივს მიაგებდა ლოგიკურ აზროვნებას – ე.წ. „სიტყვის“, მაგრამ თავად უმეტესწილ „ხედვით“ აზროვნებდა. პეტრინის მიერ „დანახული“ ქართული სამხმიანობა, ანუ მზახრი ჟირი ბამის სამება, მამა ძე სულიწმიდას ერთებასთან ყველაზე მეტად მიახლოებული, „ზესთაერთის“ სინათლისა და სიყვარულის ამრეკლავი „მორთულებაა“.

დასკვნა

იოანე პეტრინის თხზულებას „განმარტებაი“ ქართული მრავალხმიანობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით მაღალი ღირებულების დოკუმენტად მივიჩნევთ, შემდეგი არგუმენტების გამო:

1. „განმარტებაი“-ში წარმოდგენილი სამუსიკო ინფორმაცია უშუალო კავშირშია ავტორის ფილოსოფიურ მრწამსთან. თხზულებაში დასმული ფილოსოფიურ-თეოლოგიური პრობლემები და შესაბამისი მუსიკალური პარალელები ურთიერთგანმარტავია მამა ძე სულიწმიდას ერთების, როგორც უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული თეზის არსი თავად განმარტავს და თვალსაჩინოს ხდის ქართველი ფილოსოფოსის მიერ ნაგულისხმევი მუსიკალური დიალექტიკის არსს.

2. თხზულებაში წარმოდგენილი მუსიკალური ცნებები ეროვნული წარმომავლობისაა. მათი ფუნქციონალურ-აზრობრივი დატვირთვა მრავალხმად მღერის პრაქტიკას ასაბუთებს.

3. იოანე პეტრინი, თავისი „განმარტებაით“ არა მარტო დამადასტურებელია XI საუკუნეში საქართველოში მრავალხმიანობის არსებობის ფაქტისა, არამედ განმამტკიცებელია იმ ვარაუდისა, რომ ქართულმა მუსიკალურმა ცნობიერებამ საკმაოდ გრძელი გზა განვლო XI საუკუნემდე; რომ არა განვითარებისა და სრულყოფის გრძელი პროცესი, XI საუკუნისათვის ქართული მრავალხმიანობა ვერ იქცეოდა იმ რანგის მხატვრულ ღირებულებად, რომელიც ქრისტიანული მრწამსის რანგის დებულებას სანდო არგუმენტად გამოადგებოდა.

„ორგვარი სიბრძნის“ აღიარებით ნეოპლატონიზმი საფუძველდამდებად იქცა რენესანსისათვის. თავისი ორიგინალური მსოფლშემეცნებით იოანე პეტრინი ქართული რენესანსის მეკვლეა. წარმართი პროკლე მან სათარგმნელად „ორგვარი სიბრძნის“ აღიარების ნიშნით გამოარჩია. ამ კუთხით „განმარტებანი“-ს განხილვა ბადებს თვალსაზრისს, რომ მუსიკის სფეროშიც ნეოპლატონიკოსი პეტრინი „ორგვარი სიბრძნის“ – წარმართულის ქრისტიანულთან მორიგებას შეეცადა. **პეტრინმა ეროვნული მუსიკალური ცნობიერების დიალექტიკას ნათელი მოჰფინა და მრავალხმიანი სიმღერის ხიბლის საიდუმლოს ჩასწვდა. ეს საიდუმლო – მრავალხმად აზროვნებაში დანახული**

მან ქრისტიანული სამების ანარეკლად გამოაცხადა და ქრისტიანულ ლიტურგიკაში სამ ხმაზე გალობის კანონიკურობა დაადასტურა.

იოანე პეტრინმა თავისი თხზულება ათი საუკუნის წინ შექმნა. „განმარტებანის“, როგორც არგუმენტის ღირებულება – ქართული მრავალხმიანობის თავისთავადობისა და ხნიერების კვლევის საქმეში, თავად საკვლევი ობიექტის – ქართული მრავალხმიანობის მაღალმხატვრული ღირებულების შესაბამისი და ტოლფასია.

ჩვენი გამოკვლევის შინაარსი და მიღებული დასკვნები XI საუკუნის ქართული ლექსიკიდან გამომდინარეა. მოხსენებაში მთავარი არგუმენტი – ადგილობრივი წარმოშობის ძირძველი მუსიკალური ტერმინები და ამ ტერმინებზე დაფუძნებული ორიგინალური აზროვნებაა ქართველი ფილოსოფოსისა. ქართული წარმოშობის ტერმინები შთამბეჭდავი, მრავლისმთქმელი და სრულიად დამაჯერებელია, როგორც არსობრივად, ისე ჟღერადობის თვალსაზრისით, სწორედ ქართული ლექსიკის მცოდნე მსმენელისათვის; მაშინ, როდესაც უკვე თარგმანში მოწოდებულნი, მიუხედავად თარგმანის სიზუსტისა, ისინი ვერ ინარჩუნებენ არგუმენტის ღირებულებას. რჩება მხოლოდ თარგმნილი შინაარსი ცნებისა, რითაც უფერულდება მისი შთამბეჭდაობის ძალა. (აღნიშნული გასათვალისწინებელია წინამდებარე ტექსტის თარგმანის გაცნობისას)

შენიშვნები

¹ აღნიშნული თხზულების ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი ქართული ხელნაწერი მე-14 საუკუნისაა. დაცულია საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა მუზეუმში. სტატიაში პეტრინის თხზულება მოხსენებული იქნება შემოკლებით: „განმარტებაი“-ს სახელწოდებით.

² აღმოსავლური რენესანსის თეორია ეკუთვნის ქართველ ფილოსოფოსს შალვა ნუცუბიძეს (ნუცუბიძე, 1947). ესაა მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანესი კულტუროლოგიური თეორია, რომელიც გაიზიარა თანამედროვე რენესანსოლოგიამ (იხ. Ёї ħãã, 1978:24, 33). ამ თეორიის მიხედვით აღმოსავლური რენესანსი ორი საუკუნით წინ უსწრებს ევროპულს.

³ მე-18 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის თხზულება „სიტყვის კონა“ (განმარტებითი ლექსიკონი) წარმოადგენს ძველი ქართული ცნებების განმარტების ძირითად წყაროს.

